

ტრენინგ-პროგრამის (სასწავლო კურსის) წარსადგენი ფორმა

1. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა, პოზიცია): ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი
2. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ პროგრამის განმახორციელებელი ერთეული:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
3. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის დასახელება: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და განხორციელება

4. ტრენინგ-მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ჯგუფი/ჯგუფები:

4.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე დამრიგებლები, მასწავლებლები, სპეცმასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სხვა პირები.

4.2. ფასიანი ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში მიზნობრივი ჯგუფი /ჯგუფები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა: 15-25 მონაწილე

6. რეგიონული დაფარვა: საქართველო

7. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: **32 საათი**

7 დღე (დღეში 4 ან 5 საათი); ან 8 დღე (დღეში 4 საათი) სკოლის მოთხოვნის მიხედვით.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ჩასატარებელი დღეებისა და საათების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო)რაოდენობის მითითებით: **1,5 კრედიტი**

9. ადამიანური რესურსი: შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი)

10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი: სხვადასხვა ფერის მარკერი, ფლიპჩარტი (2 ცალი) პროექტორი, ლეპტოპი.

11. სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:

სერტიფიკატის მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასებაში არსებული მოთხოვნები: დაესწროს მოდულის მინიმუმ 80%-ს და, ამასთან, შეასრულოს 2 დავალება და თითოეულ მათგანში მოაგროვოს ქულათა მინიმუმ 60%:

12. მსმენელთა შეფასების სისტემა: სერტიფიკატის (მოქმედი პედაგოგის შემთხვევაში კრედიტ ქულების) მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასების სქემით გათვალისწინებული მოთხოვნები:

- **დაესწროს მოდულის მინიმუმ 80% .**
- **ამასთან მონაწილეს ეძლევა შესასრულებლად 2 დავალება:** 1. დაწეროს თავის საგანში ერთი კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; 2. სსსმ მოსწავლის (ვისზეც დაწერა ისგ) მიზნებისა და აქტივობების გათვალისწინებით დაწეროს თავის საგანში ადაპტირებული გაკვეთილი. თითოეული დავალება ფასდება მაქსიმუმ 50 ქულით. მინიმალური გადასალაზი ქულა არის 35 (60%).
- მოდული იმ შემთხვევაში ითვლება დაძლეულად თუ მონაწილე თითოეულ დავალებაში მოაგროვებს გამსვლელ მინიმალურ ქულას. თუ მხოლოდ ერთ დავალებაში მოაგროვებს 35 ან მეტ ქულას და მეორეში ვერა, მოდული დაძლეულად არ ითვლება;